აუდიტორების პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის პირობები

#PI/SME-001/2018-1

1. სადაზღვევო შეთანხმება

1.1. **მზღვეველი** **დაზღვეულის** სახელით აანაზღაურებს **ზიანისა** და **დაცვის ხარჯებს** ნებისმიერი **პრეტენზიისთვის,** რომელიც <u>პირველად</u> წაყენებულია **პოლისის მოქმედების პერიოდში** **რეესტრში** რეგისტრაციის შემდეგ **უკუქმედების** **თარიღის** შემდგომ **დამზღვევის** მიერ **დაზღვეული** **სერტიფიცირებული** **პირების** მეშვეობით **პროფესიული** **მომსახურების** გაწევისას განხორციელებული **მცდარი** **ქმედებისათვის**, იმ პირობით, რომ არცერთ **დაზღვეულს** **პოლისის** გაცემის დროისათვის არ ჰქონდა არანაირი საფუძველი გონივრული ვარაუდისა, რომ ასეთი **მცდარი** **ქმედება** საფუძვლად დაედებოდა **პრეტენზიას.**

1.2. დაფარვას ექვემდებარება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე წარმოდგენილი **პრეტენზიები**, ხოლო დავის შემთხვევაში, მხოლოდ საქართველოს სასამართლოების მიერ განხილულ საქმეებზე კანონიერ ძალაში შესრული გადაწყვეტილების / განჩინების საფუძველზე **დამზღვევისათვის** / **დაზღვეულისათვის** დაკისრებული **ზიანი**. უცხო სახელმწიფოთა სასამართლოების / არბიტრაჟის / მედიაციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, წინამდებარე ხელშეკრულებით, არ ექვემდებარება დაფარვას, მიუხედავად იმისა, მათი ცნობა / აღსრულება საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულია თუ არა.

2. დამატებითი ბენეფიტები

მზღვეველი აუნაზღაურებს **დამზღვევს** **დისციპლინური** **საქმისწარმოების** **ხარჯებს**, გამომდინარე **დისციპლინური** **საქმისწარმოებიდან**, რომელიც დაიწყო და **მზღვეველისათვის** შეტყობინებულ იქნა **პოლისის** **მოქმედების** **პერიოდში**.

3. ტერმინთა განმარტებები

ნებისმიერ სიტყვას ან ტერმინს, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება წინამდებარე დოკუმენტით, ექნება იგივე მნიშვნელობა **დაზღვევის** **ხელშეკრულების** ნებისმიერ ნაწილში.

3.1. **მცდარი** **ქმედება** გულისხმობს:

ა) ნებისმიერ ფაქტობრივ ან სავარაუდო ქმედებას, შეცდომას, გაუფრთხილებლობას ან განზრახ ქმედებას **აუდიტორული** **საქმიანობის** განხორციელებისას **დამზღვევის** ან **დაზღვეულის** მიერ საკუთარი უფლებომოსილების ფარგლებში **დამზღვევის** სახელით მოქმედებისას;

ბ) ნებისმიერ ფაქტობრივ ან სავარაუდო ქმედებას, შეცდომას ან გაუფრთხილებლობას **პროფესიული** **მომსახურების** (გარდა **აუდიტორული** **საქმიანობისა**) გაწევისას **დამზღვევის** ან **დაზღვეულის** მიერ საკუთარი უფლებომოსილების ფარგლებში **დამზღვევის** სახელით მოქმედებისას.

3.2. **დაკავშირებული** **მცდარი** **ქმედებები** გულისხმობს **მცდარ** **ქმედებებს**, რომლებიც ნებისმიერი ფაქტის, გარემოების, სიტუაციის, ტრანზაქციის, შემთხვევის ან გადაწყვეტილების მეშვეობით ლოგიკურად ან შემთხვევით დაკავშირებულია ერთმანეთთან. ყველა **დაკავშირებული** **მცდარი** **ქმედება** წარმოადგენს ერთ **მცდარ** **ქმედებას** და ჩადენილად ითვლება იმ დროს, როდესაც განხორციელდა პირველი ასეთი **დაკავშირებული** **მცდარი** **ქმედება**, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ქმედება განხორციელდა **პოლისის** **მოქმედების** **პერიოდის** დაწყებამდე თუ **პოლისის** **მოქმედების** **პერიოდის** განმავლობაში.

3.3. **პრეტენზია** ნიშნავს **დამზღვევის / დაზღვეულის** წინააღმდეგ **მცდარი ქმედებისათვის** წარდგენილ

ა) მოთხოვნას კომპენსაციის გაცემის ან მომსახურების ხელახალი გაწევის შესახებ;

ბ) სამოქალაქო საქმის წარმოების დაწყების შესახებ უწყებას / სარჩელს.

პრეტენზია ჩაითვლება წარდგენილად **დაზღვეულის** მიერ ასეთი შეტყობინების მიღების დღეს.

3.4. **რეესტრი** – ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე წარმოებული აუდიტორების / აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრი, რომელშიც რეგისტრაციის შემდგომ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის ფილიალი საქართველოში და ფიზიკური პირი საქართველოში აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას იძენენ.

3.5. **ზიანი** ნიშნავს თანხას, რომლის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება **დაზღვეულს** საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე პირდაპირ მიყენებული ზარალის საკომპენსაციოდ, მათ შორის, **კლიენტზე** დარიცხულ და ამავდროულად მის მიერ გადახდილ ჯარიმებს და საურავებს, გარდა:

ა) ნებისმიერი დაკისრებული გადასახადების / მოსაკრებლების თანხისა;

ბ) **პროფესიული მომსახურების** გაწევისთვის გადახდილი გასამრჯელოს უკან დაბრუნების მოთხოვნისა;

გ) დაკარგული მოგებისა / მიუღებელი შემოსავლებისა;

დ) სხვა არაპირდაპირი დანაკარგებისა.

3.6. **დაცვის ხარჯები** წარმოადგენს **მზღვეველის** წერილობითი თანხმობით **დამზღვევის** მიერ გაღებულ გონივრულ და აუცილებელ ხარჯებს, რაც პირდაპირ გამომდინარეობს კონკრეტული **პრეტენზიის** გამოძიებიდან, დაცვიდან, მოგვარებისა ან გასაჩივრებიდან, გარდა **დისციპლინური საქმისწარმოების ხარჯებისა**.

3.7. **დისციპლინური საქმისწარმოება** ნიშნავს ნებისმიერ ადმინისტრაციულ საქმისწარმოებას შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ, **დამზღვევის** მიერ **პროფესიული მომსახურების** გაწევისას დაშვებული პროფესიული სამართალდარღვევის საქმის გამოძიების მიზნით.

3.8. **დისციპლინური საქმისწარმოების ხარჯები** ნიშნავს **დამზღვევის** მიერ **დისციპლინური საქმისწარმოებისას** გაწეული გამოძიების, დაცვის ან გასაჩივრების გონივრულ და აუცილებელ დანახარჯებს. **დისციპლინური საქმისწარმოების ხარჯები** არ მოიცავს:

ა) **დამზღვევზე / დაზღვეულზე** დაკისრებულ ჯარიმებს, სანქციებსა და პირგასამტეხლოებს;

ბ) **დამზღვევის** თანამშრომლებისთვის / **დაზღვეულისათვის** გადახდილ ხელფასს, გასამრჯელოს, ზეგანაკვეთური მუშაობის ხარჯებს და ა.შ.

3.9. **დაზღვევის ხელშეკრულება – სადაზღვევო პოლისის, განაცხადისა** და წინამდებარე პირობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთიან **დაზღვევის ხელშეკრულებას**.

3.10. **სადაზღვევო პოლისი – მზღვეველის** მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მხარეთა შორის **დაზღვევის ხელშეკრულების** დადების ფაქტს. აღნიშნულ **პოლისზე** მთლიანად ვრცელდება წინამდებარე პირობებით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, **პოლისის** გაცემა ხორციელდება შესაბამისი **განაცხადის დამზღვევის** მიერ შევსებისა და **მზღვეველისთვის** არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების მითითების საფუძველზე. ხსენებული **პოლისი** და შესაბამისი **განაცხადი** იქცევა **დაზღვევის ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილად.

3.11. **განაცხადი** – მზღვეველის მიერ წინასწარ დადგენილი ფორმის, აუდიტორებისა და ბუღალტერების პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის განაცხადი, რომელსაც ავსებს **დამზღვევი დაზღვევის ხელშეკრულების** დასადებად და რომელიც წარმოადგენს **დაზღვევის ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს.

3.12. **დამზღვევი** – პირი, რომელიც დებს **დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან** და მითითებულია **სადაზღვევო პოლისში**, როგორც **დამზღვევი**. **დამზღვევი** შეიძლება იყოს ფირმა ან

სერტიფიცირებული პირი, იმ პირობით რომ ისინი **პროფესიულ საქმიანობას** ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე და სერტიფიცირებული და უფლებამოსილნი არიან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.13. **დაზღვეული**:

ა) **დამზღვევი**;

ბ) **დამზღვევის** მიერ შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული **სერტიფიცირებული პირი**, რომელიც **სადაზღვევო პოლისში** მითითებულია, როგორც **დაზღვეული სერტიფიცირებული პირი**, იმ პირობით, თუ ასეთი პირი მოქმედებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში **დამზღვევის** სახელით.

3.14. **სერტიფიცირებული პირი**:

ა) **სერტიფიცირებული ბუღალტერი** – ფიზიკური პირი, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად სერტიფიცირებულია ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის მიერ ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით და რომელიც სერტიფიცირების შემდეგ თავის კვალიფიკაციას განგრძობითი განათლების სტანდარტის შესაბამისად ადასტურებს;

ბ) **აუდიტორი – სერტიფიცირებული ბუღალტერი**, რომელიც არის ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის წევრი, რეგისტრირებულია **რეესტრში** და უფლებამოსილია განახორციელოს **აუდიტორული საქმიანობა**, მათ შორის, ინდივიდუალურად;

გ) **გარიგების პარტნიორი – აუდიტორი**, რომელიც **აუდიტორულმა ფირმამ** კონკრეტული აუდიტის ჩატარებისათვის ან სხვა **აუდიტორული საქმიანობის** განხორციელებისათვის მთავარ პასუხისმგებელ პირად დანიშნა და რომელიც **აუდიტორული ფირმის** სახელით მოქმედებს, ან **აუდიტორი**, რომელიც ხელს აწერს აუდიტორულ დასკვნას ან სხვა **აუდიტორული საქმიანობის** განხორციელების შედეგად შემუშავებულ დოკუმენტს.

3.15. **აუდიტორული (აუდიტური) ფირმა** – საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის ფილიალი საქართველოში, რომელიც რეგისტრირებულია **რეესტრში** და **აუდიტორულ საქმიანობას** ახორციელებს **გარიგების პარტნიორის** (**პარტნიორების**) მეშვეობით.

3.16. **პროფესიული მომსახურება** – მომსახურება, რომელსაც ახორციელებს **აუდიტორი** / **აუდიტორული ფირმა** საბუღალტრო, აუდიტორულ, საგადასახადო, ფინანსური მენეჯმენტის ან/და სხვა, მსგავს ბიზნეს საკონსულტაციო სფეროში და რომელიც ბუღალტრულ და მასთან დაკავშირებულ უნარებს მოითხოვს წინამდებარე დაზღვევის პირობებში მითითებული შეზღუდვებისა და გამონაკლისების გათვალისწინებით. თუ **სადაზღვევო პოლისში** ცალსახად არა არის მითითებული, რომ ეს **პოლისი** ვრცელდება **აუდიტორული საქმიანობისა** და **ბუღალტრული აღრიცხვის** წარმოების გარდა სხვა სახის **პროფესიულ მომსახურებაზე**, დაზღვეულად ჩაითვლება მხოლოდ **აუდიტორული საქმიანობა** და **ბუღალტრული აღრიცხვის** წარმოება.

3.17. **აუდიტორული საქმიანობა (მომსახურება) – აუდიტორის** / **აუდიტორული ფირმის** მიერ შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული სამუშაო, რომელიც მიმართულია:

ა) აუდიტის საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების (მათ შორის, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების) უტყუარობისა, სამართლიანობისა და სისრულის, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მისი წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად მომზადების შესახებ **აუდიტორის** / **აუდიტორული ფირმის** მოსაზრების გამოთქმისკენ;

ბ) ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვით **აუდიტორის** / **აუდიტორული ფირმის** დასკვნის გამოტანისკენ;

გ) სხვა დასაბუთებული ან / და შეზღუდული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე შესაბამისი მოსაზრების გამოთქმისკენ ან დასკვნის გამოტანისკენ;

დ) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სხვა მიზნების განხორციელებისკენ.

3.18. **ბუღალტრული აღრიცხვა** – სუბიექტის საქმიანობასა და რესურსებზე გავლენის მომხდენი, ფულად ერთეულში შეფასებადი ეკონომიკური მოვლენების ამსახველი ინფორმაციის შეგროვების, რეგისტრაციის, შეფასების, განზოგადების და შესაბამისი ანგარიშგების მწყობრი და უწყვეტი სისტემა.

3.19. **პოლისის მოქმედების პერიოდი – სადაზღვევო პოლისში** „პოლისის პერიოდის" გრაფაში მითითებული დროის პერიოდი.

3.20. **უკუქმედების თარიღი – სადაზღვევო პოლისში** მითითებული თარიღი, რომლის შემდეგ დაშვებული **მცდარი ქმედება** შეიძლება გახდეს წინამდებარე პირობებით კომპენსაციის / სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველი იმ პირობით, რომ ასეთი ქმედებას ადგილი ჰქონდა **დამზღვევის რეესტრში** რეგისტრაციის შემდგომ.

3.21. **ავტომატური დამატებითი შეტყობინების პერიოდი** ნიშნავს დროის პერიოდს, რომელიც იწყება **პოლისის** გაუქმების დღეს ან იმ დღეს, როცა **პოლისი** არ განახლდა და მთავრდება:

ა) პოლისში მითითებული „ავტომატური დამატებითი შეტყობინების პერიოდის" გასვლის შემდეგ; ან

ბ) **დამზღვევის** მიერ სხვა ანალოგიური დაზღვევის შეძენის ძალაში შესვლის დღიდან

რომელი შემთხვევაც დადგება უფრო ადრე.

3.22. **არჩევითი დამატებითი შეტყობინების პერიოდი** – დამატებითი პერიოდი, რომლის შეძენა შეუძლია **დამზღვევს** დამატებით, შესაბამისი დანართის გაფორმების გზით, წინამდებარე პირობებით დაფარული **პრეტენზიების** წარდგენის ვადის გახანგრძლივების მიზნით.

3.23. **პოტენციური პრეტენზია** გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას ან გარემოებას, რომელიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს **პრეტენზიას** მომავალში.

3.24. **პოტენციურ პრეტენზიასთან დაკავშირებული ხარჯები – მზღვეველის** მიერ **პოტენციური პრეტენზიის** გამოძიებისთვის / დადგენისათვის გაწეული გონივრული ხარჯები.

3.25. **კლიენტი** – პირი, რომელსაც **დამზღვევი** უწევს **პროფესიულ მომსახურებას** შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

3.26. **ლიმიტი თითოეული პრეტენზიისთვის – სადაზღვევო პოლისით** გათვალისწინებული ლიმიტის ოდენობა ყველა იმ **პრეტენზიასთან / პოტენციურ პრეტენზიასთან / დაცვის ხარჯებთან / პოტენციურ პრეტენზიასთან დაკავშირებულ ხარჯებთან** მიმართებაში, რომელიც გამომდინარეობს, დაფუძნებულია, მიეწერება ან გამოწვეულია ერთი **მცდარი ქმედებით**.

3.27. **აგრეგირებული ლიმიტი – სადაზღვევო პოლისით** გათვალისწინებული **მზღვეველის** პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი, თანხა, რომელზე მეტსაც **მზღვეველი** არ ანაზღაურებს მიუხედავად **პრეტენზიების** რაოდენობისა და მოცულობისა.

3.28. **სადაზღვევო შესატანი (პრემია)** – თანხა, რომელსაც **დამზღვევი** უხდის **მზღვეველს** სადაზღვევო მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. **სადაზღვევო შესატანის (პრემიის)** ოდენობა და მისი გადახდის წესი მითითებულია **სადაზღვევო პოლისში**.

3.29. **ფრანშიზა – სადაზღვევო პოლისში** განსაზღვრული თანხა, რომელიც არ ექვემდებარება **მზღვეველის** მიერ ანაზღაურებას და წარმოადგენს **დამზღვევის / დაზღვეულის** ხარჯს.

3.30. **არსებითი ცვლილება რისკში** – იმგვარი ცვლილება დაზღვეული რისკის ხდომილების ალბათობასა და / ან პოტენციური ზიანის ოდენობაში, რომელიც ცნობილი რომ ყოფილიყო **მზღვეველისათვის დაზღვევის ხელშეკრულების** დადების მომენტში, გამოიწვევდა **მზღვეველის** მიერ **დაზღვევის ხელშეკრულების** დადებას განსხვავებული პირობებით ან **მზღვეველის** უარს **დაზღვევის ხელშეკრულების** დადებაზე.

3.31. **საკვალიფიკაციო სერტიფიკატი** - პირის სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა, რომელიც გაიცემა ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი პირს არ ანიჭებს აუდიტის ჩატარების უფლებას, სანამ არ განხორციელდება მისი **რეესტრში** რეგისტრაცია.

3.32. **სადაზღვევო შემთხვევა** – დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვლენის ხდომილება, რომელიც წარმოშობს **მზღვეველის** მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებას **დაზღვევის ხელშეკრულებით** დადგენილი წესითა და პირობებით.

3.33. **გამომუშავებული სადაზღვევო პრემია – პოლისის მოქმედების პერიოდის** განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, **პოლისის მოქმედების პერიოდის** დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის პროპორციული პრემიის ოდენობა.

3.34. **გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია – პოლისის მოქმედების პერიოდის** განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, **პოლისის მოქმედების პერიოდის** ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა.

4. გამონაკლისები

4.1. **დაკავშირებული პირები**

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება ის **პრეტენზიები** / **დაცვის ხარჯები**, რომელიც წარმოიქმნება ან უკავშირდება ისეთი / იმ პირისათვის გაწეულ **პროფესიულ მომსახურებას**, რომლის თანამშრომელს, დირექტორს, მენეჯერს, საჯარო მოხელეს ან წილის / აქციების მფლობელს წარმოადგენს **დაზღვეული**, **დაზღვეულის** მეუღლე / შვილი / მშობელი ან **დამზღვევის** წილის / აქციების მფლობელი.

4.2. **დამატებითი რისკის საქმიანობა**

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება ის **პრეტენზიები** / **დაცვის ხარჯები**, რომელიც წარმოიქმნება ან უკავშირდება **პროფესიულ მომსახურებას**, რომელიც გაწეული იქნა **დამზღვევის** / **დაზღვეულის** მიერ მმართველის, განმკარგავის, მინდობილი ქონების მმართველის ან მეურვის სახით.

4.3. **დაზღვეულის პრეტენზია სხვა დაზღვეულის მიმართ**

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება **დაზღვეულის** მიერ სხვა **დაზღვეულის** მიმართ წაყენებული **პრეტენზიები / დაცვის ხარჯები**.

4.4. **კომპიუტერის ტექნიკური ან პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება**

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება ის **პრეტენზიები** / **დაცვის ხარჯები**, რომელიც წარმოიქმნება ან უკავშირდება **კლიენტებისთვის** კომპიუტერის ტექნიკური ან პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებას.

4.5. **სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა**

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება ის **პრეტენზიები** / **დაცვის ხარჯები**, რომელიც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია **დაზღვეულის** ნებისმიერი წერილობითი თუ ზეპირი ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე აღიარებულ პასუხისმგებლობასთან. მოცემული პირობა არ ვრცელდება, თუ **დაზღვეულს** აღნიშნული პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა ხელშეკრულების / შეთანხმების დადების მიუხედავად.

4.6. **მართლსაწინააღმდეგო ქმედებები**

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება ის **პრეტენზიები** / **დაცვის ხარჯები**, რომელიც წარმოიქმნება ან უკავშირდება არაკეთილსინდისიერ, თაღლითურ ან განზრახ ქმედებას, გარდა აუდიტორული საქმიანობის ფარგლებში განზრახ ქმედებისა, და რომელიც განახორციელა **დაზღვეულმა** ან მისი თანხმობით ან ცოდნით ნებისმიერმა პირმა. აღნიშნული პირობა არ ვრცელდება იმ **დაზღვეულ სერტიფიცერებულ პირზე**, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა ან არ ფლობდა ინფორმაციას ამგვარი ქმედების / დარღვევის შესახებ.

მზღვეველი, რომელმაც აუნაზღაურა დაზარალებულ პირს განზრახ ქმედების შედეგად წარმოქმნილი/განზრახ ქმედებასთან დაკავშირებული ზიანი, უფლებამოსილია დამზღვევს წაუყენოს რეგრესული მოთხოვნა (სადაზღვევო ანაზღაურების თანხის დაბრუნების შესახებ).

4.7. **საინფორმაციო ტექნოლოგიები**

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება ის **პრეტენზიები** / **დაცვის ხარჯები**, რომელიც წარმოიქმნება ან უკავშირდება **ზიანს**, რომელიც გამოიწვია შეცდომამ ან დარღვევამ საინფორმაციო ტექნოლოგიებში ან ინტერნეტთან კავშირში, ასევე, მსგავსი ტექნოლოგიის გამოყენების შედეგად დამდგარ **ზიანს** (ელექტრონული რეკლამა ან კორესპონდენცია, ვირუსების ან მსგავსი მონაცემების გადატანა, მონაცემთა პროცესირება, უვარგისი / შეუსაბამო ან შეცდომა პროგრამულ / ტექნიკურ და ინტერნეტ პროგრამების უზრუნველყოფაში, ნებისმიერი სახის ქსელური ან / და საინფორაციო უსაფრთხოების დარღვევა, ელექტრონული ფულის ტრანზაქცია / გადაგზავნა, და სხვა).

4.8. **კაპიტალების განკარგვა**

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება ის **პრეტენზიები** / **დაცვის ხარჯები**, რომელიც წარმოიქმნება ან უკავშირდება **დაზღვეულის** მიერ ნებისმიერი ქონების, ფულადი სახსრების, კაპიტალის და სხვა ნებისმიერი აქტივის განკარგვას (მათ შორის, გაცვლას, გაფლანგვას, მითვისებას და სხვა).

4.9. **დაზღვეული, როგორც ბროკერი ან დილერი**

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება ის **პრეტენზიები** / **დაცვის ხარჯები**, რომელიც წარმოიქმნება ან უკავშირდება **დაზღვეულის** საქმიანობას ფასიანი ქაღალდების ბროკერის ან დილერის სახით.

4.10. **მენეჯმენტი / მართვა**

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება ის **პრეტენზიები** / **დაცვის ხარჯები**, რომელიც წარმოიქმნება ან უკავშირდება **დაზღვეულის** საქმიანობას, რომელსაც იგი ახორციელებს როგორც დირექტორი, პარტნიორი, მენეჯერი, თანამშრომელი ან დაქირავეული დამზღვევის გარდა ნებისმიერ სხვა პირისთვის.

4.11. **ქონებისათვის მიყენებული ზიანი**

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება ის **პრეტენზიები** / **დაცვის ხარჯები**, რომლებიც წარმოიქმნება ან უკავშირდება ქონების დაზიანებას, მათ შორის მატერიალური ქონების განადგურებას / ფუნქციის დაკარგვას. თუმცა, წინამდებარე გამონაკლისი არ ვრცელდება **კლიენტის** ჩანაწერებზე, რომლებიც იმყოფება **დაზღვეულის** მეურვეობაში ან კონტროლის ქვეშ, თუ ასეთი დაფარვის შეძენის შესახებ ცალსახად მითითებულია **სადაზღვევო პოლისში**.

4.12. **დისკრიმინაციული ქმედებები**

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება ის **პრეტენზიები** / **დაცვის ხარჯები**, რომელიც წარმოიქმნება ან უკავშირდება **დაზღვეულის** დისკრიმინაციულ ქმედებებს (ასაკის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, სარწმუნოების, ოჯახური მდგომარეობის თუ სხვა ნიშნის საფუძველზე).

4.13. **სახელმწიფო აუდიტი**

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება აუდიტორული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ კანონის საფუძველზე.

4.14. **ჯარიმები და საურავები**

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება ის **პრეტენზიები** / **დაცვის ხარჯები**, რომლებიც წარმოიქმნება ან უკავშირდება ჯარიმებს ან საურავებს, გარდა ჯარიმებისა ან საურავებისა, რომელიც უკვე დაერიცხა **კლიენტს** და ამოწურულია მათი გასაჩივრების შესაძლებლობა ყველა ინსტანციაში და ამავდროულად ფიზიკურად გადახდილია **კლიენტის** მიერ.

5. პირობები

5.1. **პრეტენზიის განხილვა / დარეგულირება**

მზღვეველი არ დაარეგულირებს არცერთ **პრეტენზიას** **დამზღვევის** თანხმობის გარეშე. **მზღვეველს** შეუძლია **დამზღვევის** თანხმობით დაარეგულიროს **პრეტენზია** სასამართლოს მიერ განხილვამდე ან მორიგების გზით შესაბამისი **ანაზღაურების ლიმიტის** ფარგლებში. თუ **დამზღვევმა** უარი თქვა **მზღვეველის** ან მისი წარმომადგენლების მიერ **პრეტენზიის** რეკომენდირებულ დარეგულირებაზე, ან

თანხმობის გაცემაზე, ან ადგილი ჰქონდა ასეთი თანხმობის არსებით დაგვიანებს, მაშინ **მზღვეველის** ვალდებულება გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება, **დაცვის ხარჯების** ჩათვლით, შემოიფარგლება:

ა) **პრეტენზიის** დარეგულირების **მზღვეველის** მიერ შეთავაზებული ოდენობით;

ბ) **დაცვის ხარჯებით**, რომელიც გაწეულ იქნა **დამზღვევის** მიერ **პრეტენზიის** შეთავაზებულ დარეგულირებაზე უარის თქმამდე;

გ) წინამდებარე პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ანაზღაურებების ჯამური ოდენობის ზევით ანაზღაურებული **პრეტენზიისა** და **დაცვის ხარჯების** 50%-ით.

ამასთან, მიუხედავად ზემოხსენებულისა, **მზღვეველი** არ არის ვალდებული აანაზღაუროს **პრეტენზია / დაცვის ხარჯები** ან განაგრძოს **პრეტენზიის** განხილვა / დაცვა, **პრეტენზიაზე ანაზღაურების ლიმიტის** ამოწურვის შემდეგ.

6. ზოგადი პირობები

6.1.1. ხელშეკრულების პირობების შესრულება

6.1.2. **დამზღვევის** მიერ წინამდებარე პირობების კეთილსინდისიერად დაცვა და შესრულება და **დაზღვევის განაცხადში** მიწოდებული ინფორმაციის სისწორე და მისი სისრულე წარმოადგენს **მზღვეველის** მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის აუცილებელ წინაპირობას.

6.1.3. **დამზღვევი** ვალდებულია გააცნოს **დაზღვეულ სერტიფიცირებულ პირს** წინამდებარე დაზღვევის პირობები

6.1.4. **დამზღვევის** / **დაზღვეულის** მიერ **დაზღვევის ხელშეკრულების** პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს **მზღვეველის** გათავისუფლებას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისაგან.

6.1.5. ინფორმაციის არასწორად წარმოდგენა

დაზღვევის ხელშეკრულება / პოლისი ჩაითვლება ბათილად, თუ **მასში** განსაზღვრული პოლისის ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ **დამზღვევი** შეგნებულად დაუმალავს ან არასწორად წარუდგენს **მზღვეველს** დაზღვევასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

6.1.6. აღრიცხვა და კონტროლი; რისკის ცვლილების შესახებ შეტყობინების ვალდებულება

6.1.7. **დამზღვევი** ვალდებულია განახორციელოს **პროფესიული საქმიანობის** საერთაშორისო სტანდარტებთან (IFRS, IFRS for SME) და მის მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი, აუდიტორული საქმიანობის შემთხვევაში გააჩნდეს აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო აუდიტის (ISA) ჩატარების სტანდარტებს და ხარისხის კონტროლის პოლიტიკას.

6.1.8. **დამზღვევი** ვალდებულია განახორციელოს მასთან დასაქმებული **სერტიფიცირებული პირების** საქმიანობის მუდმივი მონიტორინგი. **დამზღვევი** ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა **დაზღვეული სერტიფიცირებული პირის** საკვალიფიკაციო მონაცემებში / სერტიფიკატში ცვლილებების შესახებ, შეატყობნოს აღნიშნული ცვლილებების შესახებ **მზღვეველს**.

6.1.9. **დამზღვევის** საქმიანობა, განხორციელებული იმ **სერტიფიცირებული პირების** მეშვეობით, რომლებიც არ შეესაბამებიან **სადაზღვევო პოლისში** მითითებულ ინფორმაციას, არ ექვემდებარება დაფარვას წინამდებარე პირობების საფუძველზე.

6.1.10. **დამზღვევი** ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა შეატყობინოს **მზღვეველს რეესტრის** შესახებ **სადაზღვევო პოლისში** მითითებული ინფორმაციის ცვლილებების შესახებ. **სადაზღვევო პოლისის** მოქმედება არ ვრცელდება **პროფესიულ მომსახურებაზე**, რომელიც ხორციელდება **რეესტრში** რეგისტრაციის არქონის / შეჩერების / გაუქმების დროს (თუ ასეთი რეგისტრაცია სავალდებულოა).

6.2. **დამზღვევის ვალდებულებები პრეტენზიის წაყენებისას**

6.2.1. თუკი **დამზღვევისათვის / დაზღვეულისთვის** ცნობილი გახდება **პრეტენზიის** წარდგენის ან **პოტენციური პრეტენზიის** შესახებ, **დამზღვევი / დაზღვეული** შესაძლებლობისთანავე მაგრამ არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, **მზღვეველს** წერილობით შეატყობინებს ასეთი **პრეტენზიის** დეტალებს, მათ შორის, ყველა ფაქტს სავარაუდო **მცდარ ქმედებასთან** დაკავშირებით, იმ პირთა მონაცემებს, რომლებიც სავარაუდოდ ჩართული არიან **მცდარ ქმედებაში** ან რომელთაც რამე სახით შეეხოთ აღნიშნული ქმედება, ასევე, ასეთი **მცდარი ქმედების** ჩადენის სავარაუდო თარიღებს.

6.2.2. **დამზღვევი / დაზღვეული** ვალდებულია, დაუყოვნებლივ, **მზღვეველის** მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მას ნებისმიერი დამატებეთი ინფორმაცია **პრეტენზიასთან** დეკავშირებით და გაუწიოს დახმარება / თანამშრომლობა.

6.2.3. ყველა შეტყობინება **მზღვეველს** უნდა გაეგზავნოს **სადაზღვევო პოლისში** მითითებული **მზღვეველის** რეკვიზიტების მიხედვით. შეტყობინება განხორციელებულად ითვლება **მზღვეველის** მიერ მისი მიღებისთანავე. **დამზღვევი** არ არის უფლებამოსილი მოაგვაროს **პრეტენზია**, შესთავაზოს **პრეტენზიის** დარეგულირება, თავის თავზე აიღოს ან აღიაროს პასუხისმგებლობა ან აანაზღაუროს **დაცვის ხარჯები**, ან თავის თავზე აიღოს რაიმე სახის ვალდებულება ან გაიღოს რაიმე სახის ხარჯი, **მზღვეველის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, ამასთან **მზღვეველი** არა არის უფლებამოსილი უსაფუძვლოდ განაცხადოს უარი ასეთი თანხმობის გაცემაზე. **მზღვეველი** არ არის ვალდებული **დამზღვევის** მიერ **მზღვეველის** თანხმობის გარეშე გაღებული / აღიარებული თანხების ანაზღაურებაზე, ვალდებულების აღიარებაზე და ა.შ.

6.3. **პოტენციურ პრეტენზიათა შეტყობინება**

6.3.1. თუ **დამზღვევისთვის / დაზღვეულისთვის** ცნობილი ხდება **პოტენციური პრეტენზიის** შესახებ, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ (მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა), წერილობით შეატყობინოს **მზღვეველს** ასეთი **პოტენციური პრეტენზიის** დეტალები, მათ შორის:

ა) **პოტენციურ პრეტენზიასთან** დაკავშირებულ ყველა ცნობილი ფაქტი;

ბ) **პოტენციურ პრეტენზიასთან** სავარაუდოდ დაკავშირებულ პირთა საიდენტიფიკაციო მონაცემები;

გ) თარიღი, როდესაც ასეთ პირთათვის ცნობილი გახდა **პოტენციური პრეტენზიის** შესახებ;

დ) სავარაუდო მოვლენათა თარიღები;

ე) მიზეზები, რომელთა გამოც მოსალოდნელია **პრეტენზია**.

6.3.2. ნებისმიერი **პრეტენზია**, რომელიც წარდგენილი იქნა **დამზღვევის** წინააღმდეგ ასეთი **პოტენციური პრეტენზიის** შედეგად, ჩაითვლება წარდგენილად **მზღვეველის** მიერ **პოტენციური პრეტენზიის** შესახებ შეტყობინების მიღების დღეს.

6.3.3. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ყველა შეტყობინება **მზღვეველს** უნდა გაეგზავნოს ან მიეწოდოს **სადაზღვევო პოლისში** მითითებული რეკვიზიტების მიხედვით. შეტყობინება ჩაითვლება **მზღვეველისათვის** გადაცემულად **მზღვეველის** მიერ მისი მიღებისთანავე.

6.4. **დაკავშირებული პრეტენზიები**

ერთმანეთთან **დაკავშირებული მცდარი ქმედებებისთვის** წარდგენილი ყველა **პრეტენზია** ან **პოტენციური პრეტენზია** განიხილება, როგორც ერთი **პრეტენზია** ან **პოტენციური პრეტენზია**. ერთმანეთთან **დაკავშირებული მცდარი ქმედებებისთვის** წარდგენილი ყველა **პრეტენზია** ან **პოტენციური პრეტენზია** ჩაითვლება წარდგენილად იმ თარიღისთვის, როცა:

ა) წარდგენილი იქნა პირველი ასეთი **პრეტენზია** ერთმანეთთან **დაკავშირებული მცდარი ქმედებებისათვის**; ან

ბ) **მზღვეველმა** მიიღო პირველი შეტყობინება ასეთი **პოტენციური პრეტენზიის** შესახებ ერთამენეთთან **დაკავშირებულ მცდარ ქმედებებთან** დაკავშირებით

რომელი შემთხვევაც უფრო ადრე დადგება.

6.5. **პრეტენზიების კონტროლი და პრეტენზიებთან დაკავშირებით თანამშრომლობა**

მზღვეველი უფლებამოსილი იქნება, მაგრამ არ იქნება ვალდებული, გააკონტროლოს ნებისმიერი **პრეტენზიის** წინააღმდეგ დაცვის განხორციელების პროცესი **დამზღვევის** სახელით და მას ექნება სრული დისკრეცია ნებისმიერი მოლაპარაკების წარმართვაში ან **პრეტენზიის** დარეგულირების პროცესში. **დამზღვევი** მაქსიმალურად უნდა დაეხმაროს **მზღვეველს** და სრულად ითანამშრომლოს მასთან გამოძიებისას ან / და **პრეტენზიის** წინააღმდეგ დაცვის განხორციელებისას (მათ შორის: წარუდგინოს **მზღვეველს** ყველა აუცილებელი დოკუმენტი და ინფორმაცია, გასცეს მინდობილობა **მზღვეველის** მიერ მითითებულ პირზე **დამზღვევის** / **დაზღვეულის** სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში / არბიტრაჟში, თუ ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში / ორგანიზაციაში / მარეგულირებელ ორგანოსთან და ა.შ. წარმოდგენასთან, დაცვასთან, გამოძიებასთან, მომხდარის მიზეზებისა და ბრალის დადგენასთან დაკავშირებით და ა.შ.) და ასევე, ნებისმიერი რეგრესული უფლების განხორციელებისას.

6.6. **სადაზღვევო ანაზღაურების ვადები, მზღვეველისათვის წარსადგენი დოკუმენტები**

6.6.1. **მზღვეველი** იხდის სადაზღვევო ანაზღაურებას წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ყველა საჭირო დოკუმენტის მიღების საფუძველზე შედგენილი **სადაზღვევო შემთხვევის** აქტის, დაზარალებული პირის / დაზარალებული პირის წარმომადგენლის, **მზღვეველისა** და **დამზღვევის** მიერ ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.6.2. **მზღვეველის** მიერ **სადაზღვევო შემთხვევის** არასასამართლო გზით დარეგულირების მიზნით **დამზღვევს** / **დაზღვეულს** მოეთხოვება შემდეგი დოკუმენტების **მზღვეველისათვის** წარმოდგენა:

ა) **ზიანის** ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა წარდგენილი დაზარალებული პირის მიერ **დამზღვევისა** და **დაზღვეულის** მიმართ;

ბ) **პროფესიული მომსახურების** გაწევის შესახებ ხელშეკრულება, **პროფესიული მომსახურების** საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შესრულებული აუდიტორული დასკვნის ასლები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ **დამზღვევის** მიერ **დაზღვეული პირის** მეშვეობით **პროფესიული მომსახურების** გაწევის ფაქტს;

გ) დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ დაზარალებული პირის დამატებით ხარჯებს არაკვალიფიცირებული **პროფესიული მომსახურების** გაწევის შედეგად;

დ) სხვა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს **დამზღვევის** პასუხისმგებლობის დადგომას და მის ოდენობას, **მზღვეველის** შეხედულებისამებრ;

ე) **მზღვეველის** თანხმობით გაწეული **დაცვის ხარჯების** / **დისციპლინური საქმისწარმოების ხარჯების** დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულება იურიდიულ კომპანიებთან / ადვოკატებთან, გაწეული იურიდიული / საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების / გადახდის ქვითრები და ა.შ.).

6.6.3. თუ მხარეები ვერ თანხმდებიან სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობაზე ან **დამზღვევის** პასუხისმგებლობის დადგომის ფაქტზე, ანაზღაურების გადახდა ხორციელდება **დამზღვევის** / **დაზღვეულის** მიმართ გამოტანილი სასამართლოს / არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ადასტურებს პროფესიული პასუხისმგებლობის დადგომის ფაქტსა და **ზიანის** ოდენობას.

6.6.4. **მზღვეველი** უფლებას იტოვებს, გადაავადოს ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებით და / ან **დამზღვევის** / **დაზღვეულის** ან მისი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

6.7. **პასუხისმგებლობის ლიმიტი**

მზღვეველის პასუხისმგებლობა თითოეულ **პრეტენზიაზე** ლიმიტირებულია **სადაზღვევო პოლისში** მითითებული **მზღვეველის** პასუხისმგებლობის **ლიმიტით თითეული პრეტენზიისთვის**. **მზღვეველი** არაა პასუხისმგებელი **ზიანის** ანაზღაურებისა და **დაცვის ხარჯების პრეტენზიით** მოთხოვნილ იმ ოდენობაზე, რომელიც აღემატება ხსენებულ ლიმიტს. **მზღვეველის** პასუხისმგებლობა წინამდებარე პირობებით დაფარულ ყველა **პრეტენზიასთან** / **დაცვის ხარჯებთან** / **დისციპლინურ**

საქმისწარმოებასთან დაკავშირებით ლიმიტირებულია **აგრეგირებული ლიმიტით. აგრეგირებული ლიმიტის** ამოწურვით **პოლისის** მოქმედება წყდება.

6.8. **თაღლითური პრეტენზიები**

თუკი ნებისმიერი **დაზღვეული** და / ან **დამზღვევი** მოითხოვს **მზღვეველისაგან** ანაზღაურების გადახდას მაშინ, როცა მისთვის ცნობილია, რომ **პრეტენზია** არის თაღლითური ან ყალბი, **დამზღვევი** და ასეთი **დაზღვეული** კარგავს ყველა უფლებას სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით ასეთ **პრეტენზიებთან** მიმართებაში, ხოლო, თუ მის მიერ უკვე მიღებული იქნა რაიმე სახის სადაზღვევო ანაზღაურება, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუბრუნოს იგი **მზღვეველს**.

6.9. **კანონიერი წარმომადგენლები**

დაზღვეული სერტიფიცირებული პირის გარდაცვალების ან ქმედუუნარობის შემთხვევაში, ნებისმიერი **პრეტენზია** წაყენებული **დაზღვეულის** ქონების მემკვიდრის / უფლობამონაცვლის/ სამართალმემკვიდრის მიმართ, ითვლება წაყენებულად ზემოთქმული **დაზღვეულის** მიმართ. ასეთი მემკვიდრე / უფლებამონაცვლე / სამართალმემკვიდრე პირი სარგებლობს **პოლისით** გათვალისწინებული **დაზღვეულის** უფლებებითა და ვალდებულებებით.

6.10. **უფლების რეგრესის ან ცესიის წესით განხორციელება**

მზღვეველი უფლებამოსილია მის მიერ გაცემული ან გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ფარგლებში, ნებისმიერ ეტაპზე მოსთხოვოს ანაზღაურება მესამე პირს, რომელიც პასუხისმგებელია **სადაზღვევო შემთხვევის** მოხდენაზე, **დამზღვევის** / **დაზღვეულის** ან საკუთარი სახელით. თუ **მზღვეველის** მიერ ანაზღაურება ჯერ არ არის გაცემული, **დამზღვევი** / **დაზღვეული** ვალდებულია დაუთმოს / გადასცეს მას უფლებები მესამე პირის მიმართ გასაცემ ანაზღაურებასთან მიმართებაში, ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნებისათვის **დამზღვევი** / **დაზღვეული** ვალდებულია, უზრუნველყოს **მზღვეველი** ყველა აუცილებელი ინფორმაციით / დოკუმენტაციითა თუ უფლებამოსილებით.

6.11. **მესამე პირებისგან მიღებული კომპენსაცია**

მესამე პირებისგან მიღებული კომპენსაცია დაზღვევის ხელშეკრულებით განხორციელებული ანაზღაურებისათვის, ასეთი კომპენსაციის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოქვითვის შემდეგ, გამოიყენება შემდეგნაირად: პირველ რიგში, დაუბრუნდება **მზღვეველს** მის მიერ ამ დაზღვევის ხელშეკრულებით გადახდილი ანაზღაურების სანაცვლოდ; მეორე რიგში, **დამზღვევს** / **დაზღვეულს** დაუბრუნდებათ მათ მიერ გაღებული ხარჯების / გადახდილი კომპენსაციის წილი.

6.12. **ავტომატური დამატებითი შეტყობინების პერიოდი**

თუ დაზღვევის ხელშეკრულება/**სადაზღვევო პოლისი** უქმდება ან არ ხდება მისი განახლება, გამოიყენება **ავტომატური დამატებითი შეტყობინების პერიოდი** დამატებითი **პრემიის** გარეშე **პოლისის** გაუქმების დღის მომენტიდან ან იმ დღიდან, როდესაც არ ხდება **პოლისის** განახლება. **ავტომატური დამატებითი შეტყობინების პერიოდი** გამოიყენება **პრეტენზიებისათვის**, რომლებიც წარედგინა **მზღვეველს ავტომატური დამატებითი შეტყობინების პერიოდის** განმავლობაში, მაგრამ მხოლოდ ისეთი **მცდარი ქმედებებისათვის**, რომლებიც ჩადენილი იქნა **პოლისის** გაუქმებამდე ან განუახლებლობამდე და რომლებიც დაფარული იქნებოდა **პოლისი** ძალაში რომ ყოფილიყო. **ავტომატური დამატებითი შეტყობინების პერიოდის** განმავლობაში წარდგენილი **პრეტენზია** წარდგენილად ჩაითვლება **პოლისის მოქმედების პერიოდის** ბოლო დღეს წარდგენილად.

6.13. **უფლების გადაცემა**

სადაზღვევო პოლისზე უფლების გადაცემა დასაშვებია მხოლოდ **მზღვეველის** წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. **მზღვეველის** წერილობითი თანხმობის გარეშე განხორციელებული გადაცემა ითვლება ბათილად.

6.14. **ტერიტორია**

სადაზღვევო პოლისი ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული **მცდარი ქმედებიდან** გამომდინარე **პრეტენზიებზე / დაცვის ხარჯებზე**.

7. პრემია და მისი გადახდის წესი

7.1. **პრემიის** ოდენობა მითითებულია **სადაზღვევო პოლისში** მისი გადახდის პირობებთან და ვადებთან ერთად. **დამზღვევი** ვალდებულია, **სადაზღვევო პოლისით** დადგენილი ოდენობითა და გრაფიკით გადაიხადოს **პრემია**.

7.2. **სადაზღვევო პოლისით** გათვალისწინებული პირველი ან ერთჯერადი **სადაზღვევო პრემიის** გადახდამდე, ხოლო თუ **სადაზღვევო პოლისი** პროლონგირებადია, როგორც პირველი, ისე ყოველი მომდევნო წლის პირველი ან ერთჯერადი **პრემიის** გადახდამდე, **მზღვეველი** თავისუფალია ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან.

7.3. **პრემიის** დროულად, **სადაზღვევო პოლისით** დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, **მზღვეველის** მხრიდან განისაზღვრება **პრემიის** გადახდის ორკვირიანი დამატებითი ვადა. თუ ამ ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება **პრეტენზიას / მცდარ ქმედებას**, დაიწყება **დისციპლინური საქმისწარმოება** ან ცნობილი გახდება **პოტენციური პრეტენზიის** შესახებ და გადახდა არ იქნება განხორციელებული, **მზღვეველი** თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან ასეთ **პრეტენზიასთან / მცდარ ქმედებასთან / დისციპლინურ საქმისწარმოებასთან** დაკავშირებით. ამასთან, **პრემიის** დროულად გადაუხდელობისას **მზღვეველი** უფლებას იტოვებს ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ცალმხრივად შეწყვიტოს **დაზღვევის ხელშეკრულება**.

8. დაზღვევის შეწყვეტა

8.1. **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული დაზღვევის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) **მზღვეველის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;

ბ) **დამზღვევის / დაზღვეულის** მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა;

გ) **პოლისის მოქმედების პერიოდის** ვადის გასვლა;

დ) **დამზღვევისთვის რეესტრში** რეგისტრაციის შეწყვეტა;

ე) ამოიწურა **აგრეგირებული ლიმიტი**;

ვ) თუ სადაზღვევო რისკის ზრდა **დამზღვევის / დაზღვეულის** მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული;

ზ) მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება;

თ) საქართველოს კანონმდებლობითა და ან ამ პირობებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

8.2. **მზღვეველის** მიერ **დაზღვევის ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში (გარდა წინამდებარე პირობების 8.1. პუნქტის ა, გ და ე ქვეპუნქტებისა, როდესაც დაზღვევა შეწყდება ამგვარი მოვლენის დადგომის მომენტიდან), იგი ვალდებულია გაუგზავნოს **დამზღვევს** წერილობითი შეტყობინება მისი ადგილსამყოფელის მისამართზე 30 (ოცდაათი) დღიანი ვადის დაცვით. **გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია** დაუბრუნდება **დამზღვევს** იმ პირობით, თუ იგი დააბრუნებს **პოლისს** მისი გაუქმებიდან 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში, ასევე, წინამდებარე პირობების 8.4. პუნქტით დადგენილი პირობის გათვალისწინებით.

8.3. **დამზღვევის** მიერ **დაზღვევის ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში იგი ვალდებულია, გაუგზავნოს **მზღვეველს** წერილობითი შეტყობინება მისი ადგილსამყოფელის მისამართზე 30 (ოცდაათი) დღიანი ვადის დაცვით. **დამზღვევს**, მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე, დაუბრუნდება **გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია** პროპორციულად წინამდებარე პირობების 8.4. პუნქტით დადგენილი პირობის გათვალისწინებით. ამასთან, **გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** ნებისმიერ შემთხვევაში ექვემდებარება **დამზღვევის** მიერ გადახდას.

8.4. დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას **მზღვეველისთვის პოლისის მოქმედების პერიოდში** ნებისმიერი **პრეტენზიის / პოტენციური პრეტენზიის** დეკლარირების შემთხვევაში, **გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია** დაბრუნებას არ ექვემდებარება, განვადებით **პრემიის** გადახდისას კი **გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია** ექვემდებარება **დამზღვევის** მიერ სრულად დაფარვას.

9. დავა, ზიანის ანაზღაურება

9.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმლებლობის შემთხვევაში კი საქართველოს შესაბამისი სასამართლოს მეშვეობით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. თითოეული მხარე ვალდებულია, უპირობოდ და სრულად აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით, ვალდებულებათა შეუსრულებლობით, არასრული / არაჯეროვანი შესრულებით, არაკეთილსინდისიერი ან / და გაჭიანურებული შესრულებით მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. **დაზღვევის ხელშეკრულების** ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ისინი წარმოადგენენ პირობების განუყოფელ ნაწილს.

10.2. **დაზღვევის ხელშეკრულების** რომელიმე პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად **დაზღვევის ხელშეკრულების** ბათილობას თუ იგი დაიდებობა ასეთი ბათილი პუნქტის გარეშეც.

10.3. **დაზღვევის ხელშეკრულების** აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინების მიწოდება ხორციელდება წერილობითი ფორმით, იგზავნება ფაქსით ან დაზღვეული ფოსტით მხარეთა ადგილსამყოფელის მიხედვით. მისამართის / ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ **მზღვეველისთვის** მიუწოდებლობის შემთხვევაში, **მზღვეველის** მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია / შეტყობინება ჩაითვლება **დამზღვევის / დაზღვეულის** მიერ მიღებულად.

10.4. წინამდებარე პირობების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და **დაზღვევის ხელშეკრულების** პირობებთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებული შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, წინამდებარე პირობებზე ხელმოწერით **დამზღვევი** ანიჭებს უპირობო უფლებას **მზღვეველს**, დამატებითი შეთანხმების გარეშე, **დამზღვევის** შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც გამოიწვევს **დამზღვევის** აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.

10.5. წინამდებარე პირობები ყველა ვალდებულებით ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე, წარმომადგენლებზე და რწმუნებულებზე.

10.6. წინამდებარე პირობებზე ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ **დაზღვევის ხელშეკრულება** დადებულია გონივრული განსჯის შედეგად და მასზე ხელმომწერ პირებს აქვთ სათანადო უფლებამოსილება ამისათვის. წინამდებარე პირობებზე ხელმოწერით **დამზღვევი** ადასტურებს რომ გაეცნო **სადაზღვევო ხელშეკრულებას**, რომ იგი არ შეიცავს ბუნდოვან და გაუგებარ დებულებებს და თანახმაა დააზღვიოს თავისი **პროფესიული საქმიანობიდან** გამომდინარე პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე წინამდებარე პირობებით.

10.7. წინამდებარე პირობებზე ხელმოწერით **დამზღვევი** ანიჭებს უფლებამოსილებას **მზღვეველს, მზღვეველის** ან **მზღვეველის** აფილირებული პირის მიერ **მზღვეველის** საქმიანობის რეკლამირებისას, საქმიანობის შესახებ საჯარო განცხადებების (მათ შორის წერილობით, მასობრივად ხელმისაწვდომი საშუალებით, ინტერნეტით და სხვა) გაკეთებისას მიუთითოს **დამზღვევი,** როგორც **მზღვეველის** კლიენტი, მიუთითოს **დაზღვევის ხელშეკრულების** არსებობაზე (კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვით) და ამ მიზნით **დამზღვევის** აღსანიშნავად გამოიყენოს **დამზღვევის** საფირმო სახელწოდება ან/და სასაქონლო ნიშანი (მათ შორის ის სასაქონლო ნიშნები, რომლებსაც **დამზღვევი** იყენებს სასაქონლო ნიშნის მესაკუთრისგან / მფლობელისგან კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე).

10.8. **წინამდებარე პირობები** შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა **დამზღვევს**, მეორე კი – **მზღვეველს**.